

4439

ბ. ვ. ჯ. ჯ.

# ცისკარი.

1864

მ ა ი ს ი.

## წელიწადი მერვე.

წოდება თსსულებათა:

- I — მოძღვრება ხარების დღესა. — გაბრეულ ეპისკოპოსისა.
- II — რეკას და ნინო. — თ. ვ. ბარათა-შულისა.
- III — ლექსები: 1, იმერული ნანისა. — თ. აკ. წერეთლისა. 2, მეგობარს, — კოლხიდელისა 3, ჩემს მინურვას, — თ. დავ. მახაბულისა. 4, ერთი გაცი ბუნებისათს, (ბოლო მოუღებელს კომედიით გან.) ძალაუბისა 5 ღომი, ფინია და ვირი. — დ. ბერაევისა.
- IV — ქართველთა სხუობა: სასოგადოდ გალობა; როდის განხდა ქართული გალობა — თ. დავ. მახაბულისა.
- V — სიტყვა, თქმული ქართულის გალობისათს, წმ. ნინოს მონასტერში. მღვდლის ფილიპონ კარბელაგვისა. — მასუხი. იოსებ ბერაევისა
- VI — გიგის მატყვარანთ წარმომდინარეობა — თ. მატყვარაიანისა. რედაქციისაგან სხუა და სხუა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზე)

### ცფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი.

ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემა ივ. კერესელიძისა-გან.

მ ა ი ს ი.

წელიწადი შერვე.

«თუ შეიუცარო სმენად, — მიითვალე და უკეოუ  
მიუზურა უური შენი, — ბრძენ იქმნე» (წიგ.  
ისლ. ზირ. თავი 6 მუს. 34.)

ჯეფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1 8 6 4

## მოდურება.

ხარების დღეს ჩუად წელს; თქმული ქუთისის, კაბრი-  
ელ კუბისკოპოსოსის მიერ

ყოველი დიდება ასულისა მეუფისა ში-  
ნაგან, ფესკედითა ოქროვანითა შემკულ არს  
და შემოსილ ზირად ზირადად. (ფს. მდ.  
ივ, იდ.).

წინასწარმეტყველი დავით ორმოცდა მეოთხისა ფსა-  
ლმუნსა შინა მისსა აღწერს დიდებასა სიკეთესა და მშებ-  
ნიერებასა ერთისა უნოებელისა რომლისაჲ მეუფისა და  
მშებნიერებასა მისისა მეუღლისა და მ. სთა ძეოსა და ას-  
უღათა და იტყვს: ყოველი დიდება ასულისა მეუფისა  
შინაგან, ფესკედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემო-  
სილ ზირად ზირადად ესე იგი დიდება და ღირსება მეუ-  
ფისა ასულისა არის შინაგან გულისა და სულისა მისსა,  
თუმცა, ამასთანავე, იგი შემკულ არს ოქროვანითა შესა-  
მოსლითა ზირად ზირადად, წმიდანი მამანი აღკვიბსნიან  
ჩუგან, რომელ სიტყუათა ამათ შინა დავით მეუფე წინას-  
წარ მოასწავებდა ყოველად წმიდასა დედოფალსა მარიაძისა,  
რომლისა ხარებასა დღეს მშანო და ქრისტიანებო, კდე-  
სასწავლობთ ჩუგან და ვინარებთ. ჭეშმარიტად, მხოლოდ

ერთს უბიწოს მარამს შეეფერება მაღალი იგი ქება, რომელ უოველი დიდება მისი შინაგან მისა იყო თუმცა ცადა, ამასთანე იგი იყო შემეგული გარეგანითაცა გამოა უთქმელითა მშენსნიერებითა და სიკეთითა - ამით განსუ ხვადებოდა იგი უოველთაგან ასულთა

ეს დიდი ქება არის კეთილი და აღმაშენებელი მაგალითი უოველისა ქალისათვის, თუმცა უოველსა აღმაინსა ვითარცა მამაკაცსა, ეგრეთვე დედაცაცსა, აქუს დიდი სურვილი და მიდრეკილება გარეგანის ღირსებისადმი, გაანა უშეტესად ქალთა. თუმცა უოველს აღმაინს დიდად მოხწონს გარეგანი მშენსნიერება და სამკაული, გაანა უშეტესად ქალთა, ესენი არიან ერთობ მსურველნი და შეძიებელნი გარეგანისა მშენსნიერებისა და სამკაულისა, ამით უნდა ისწავლონ და ახსოვდეთ მარადის, რომელ მშენსნიერება და სამკაული ქრისტიანისა არის შინაგანი ღირსება და სათნოება.

წმიდა მოციქული ჰაკლე ეპისტოლესა შინა მისსა, არიგებს ტიმოთეს მისგან ეპისკოპოსად კელდასმულსა რა სახით უნდა ეპურობოდეს იგი და ასწავლიდეს თვით თოეულსა პირსა მისსა სამწყვროისასა, შესახებ ქალთა დარიკებისა და სწავლისა, ესრეთ მისწერს მას: ეგრეთვე დედათა ასწავლიდე წესიერებასა სამკაულითა მორცხვედ და ღირსებით შემეკობად თავთა თვითა, არა განთხზვითა რქროითა, ანუ მარტალიტითა, ანუ სამოსლითა, დიდ ფასითა. (ა. ტიმოთე დეთ), ესე იგი ქალებთა ასწავლე, რათა არა ეძიებდენ ნამეტარსა შემეკობასა თავისა მათისასა რქროდითა, ანუ მარტალიტითა, ანუ სამოსლითა დიდ

ფასითა, არამედ წესიერად, და მორცხვედ შეიმკობდნ  
 თავსა მათსა. რაც ზაკლემ მისწერა ტიმოთეს, მეც უნდა  
 მახსოვდეს და კასრულებდე; ამისთვის დღეს მე მივაქცევ  
 უურადლებასა თქუძნსა, ქრისტეს მიერ დედანო და დანო  
 ჩემნო, ერთისა ფრიად ავისა, და საძრახავისა ჩვეულები  
 სადმი, რომელი ერთობ განგრცელებულ არს უოველთა  
 ქალებთა შორის ქუძნანსა შინა ჩუძნსა. რომელი არს  
 ეს ჩუძნულება? ფერისა და უმარილისა ხმარება. წარსრუ-  
 ლის წლის, თვით ამ დღესსწაულის წირვასე გეტყვოდი  
 მე თქუძნ, რომელ, არიან ჩუძნ შორის მრავალნი ჩუძნ-  
 ულებანი თუჩნა ძველნი, გარნა არა ზაკივ სადებნი, არა-  
 მედ ღირსნი მოსზობისა და დავიწყებისა; ერთი ამით  
 ძველთა ჩუძნულებათაგანი არის ფერის და უმა-  
 რილის ცხება შირის სხესე, ეს ავი ჩუძნულება, როგო-  
 რც ვოქვ, ერთობ განგრცელებული არის უოველთა აქაუ-  
 რთა ქალებთა შორის, ვიწვით უკანასკნელისა და ულა-  
 რიბესისადმის სხლისაგან, ვიდრე უშირატესსა თავადის  
 სხლადმდე, და მცირეწლოვანის ასულისაგან, ვიდრე მო-  
 ხუცებულთა დედათადმდე.

რა საჭირო არის ამასე ღაზარაკი ეკკლესიის კათუ-  
 დრასა ზედა, იფიქრებს ვინმე ჩემთა მსმენელთაგანი; ან  
 რა დიდი ცოდვა არის ეს უბრალო. ჩვეულება? არა,  
 ძმანო და დანო ჩემნო, ვალი მაქუეს და საჭირო არს  
 რომ ამასე მთავრე თქუძნ მოძღვრება სამღროთო წე-  
 რილი ხშირად ამხილებს ქრისტიანეთა ქალთა, რათა გინი  
 არა იუჩუნს მსურველნი და შეძიებელნი ამართა სამკაულთა;  
 გამოცთილ არს და ვიცით უოველთა თუ რა დიდი მიჯ-

რეკლამის აქტს ქალსა სსმკაულისაღმი იმ ზომად, რომელ  
 გარეგანის სსმკაულისა უკეთესად ზატვის სტემს იგი და  
 ეძიებს, ვიდრე შინაგანსა ღირსებასა; მამასადაც არა მცია  
 რელი ცოდვა არის ოდეს ქრისტიანე ქალი წაიციებს ში-  
 რისა ზედა ფერსა და უმარადსა, მეტადრე ოდეს განვი-  
 ზრასაკო და გავისხენებო, რომელ ეოველ ჩუჭულებათა  
 და საკლუღევანებათა ჩუჭუნათა აქტსთ ურთიერთა შორის  
 გავშირი; ერთი საკლუღევანება მიიხიდავს მეორესა, ერთი  
 ცოდვა მოიუყანს მეორესა, რისთვის იცხებს ქალი ფერსა  
 და უმარადსა? არა მისთვის, რათა მოაწონოს მისი ში-  
 რის სახე მჭეტრეტელთა მისთა? გარნა რათ უნდა ეძიებ-  
 დეს ამას ქალი? ღუთის მოუჭარე და ღუთის მოშიში  
 ქალი არ იქმს ამას, არამედ ამარების მოუჭარე და თავის  
 მომწონი მორცხველ და ღირსებით შემეობა, ასწავლის  
 ზღვე მოციქული ქალთა, და არა ფერისა ცხებას.

მოისპოს და განქრეს იქუჭუნ შორის, დანო და დე-  
 დანო, ეს ავი ჩუჭულება, რომლისთვის გვეცინიან და გა-  
 სვეციობსავენ ჩუჭუნ განათლებულნი შირნი. მრავალ გზის  
 შიოქვამს მე, რა დიდი სიკეთე არის სსოგადობისათვის,  
 რომდესც მას შინა არიან ქალნი კეთილნი, აღსებულნი  
 შადღითა ქრისტიანობრივიან, განათლებულნი და კეთილი  
 ზნეობა სსოგადობისა არა წარემარობის, უკეთუ ქალ-  
 ნი არ არიან განათლებულნი და წინა მძღოლნი ეოველსა  
 კეთილსა შინა ზნეობასა; ეოველი კეთილ გონიერი და  
 ღუთის მოუჭარე ქალი განანათლებს და მოაქცევს ეოვე-  
 ლთა გარემოს მისსა. იგი მოაქცევს და განამტკიცებს  
 სთნობასა შინა ეოველთა მისთა მასდობელთა, ერთის

გარკს მაგალითს გეტყუ თქვენს ამასე. კიციო ჩვენს  
 ყოველთა რა დიდი მნათობი იყო მღუდელთ მთავარი  
 გრიგორი ნაზიანზენი, ღმრის მეტყუელად წოდებული,  
 დედა წმიდისა ამის მწყემსთ მთავრისა, იყო სათნო და  
 პატროსანი ქრისტიანე; გარსა მამა მისი უწინ იყო გე-  
 რძთ მსახური, რომელსა ფრიად სმულდა ქრისტიანობა,  
 დიდი შეტადინეობა და განიერება იხმარა კეთილმან ამან  
 ქალმან მოქცევისათჳს მისისა მეუღლისა, არ დასტყობოდა  
 იგი დღე და ღამე კედრებად და მხილებად მისა, ზოგ-  
 ჳერ მოფერებითა და მრისხანებითა, და ყოველითა სახითა;  
 ესოდენი ღონე იხმარა, რომელ მოაქცია და გააქრისტი-  
 ანა იგი. ესრე ვითარნი დ დანი მრავალნი იუვნენ შირ-  
 გელთა შინა საუკუნეთა: მრავალთა განათლებულთა და  
 კეთილ განიერთა დედათა მოაქციეს და აცხოკეს მეუ-  
 ჳლენი მათნი, მმანი, ძენი, ნათესავნი პატროსნითა მას-  
 თითა ხსნათითა და უოფაქცევითა, შენც ესრეთ უნდა  
 მოაქცე ქრისტიანე ქალო, როდესაც ხედავ რამეს ცუდ  
 ჩვეულებას ან უოფაქცევას შენისა მეუღლისა, ანუ მისა,  
 ანუ მახლობელისა კაცისასა. უნდა ეცადო და მოაქციო  
 იგი. ისმის ამ ჩვენს ქალაქში, რომელ ზოგიერთნი ში-  
 რნი ოჯახის პატროსნი თამამობენ ქალადღეს და ბევრს  
 ფულს აკებენ. — სირცხვილი არ არისა შენთჳს, კი ქალო  
 ქრისტიანეო! უკერუ მეუღლე შენი ესრეთ ახვევს ქონ-  
 ებასა, რომელიც შენ და შენთა ძეთა უნდა მოახმაროს?  
 როგორ უნდა მისცე ნება დააგალო, რომ მან ქალადდი  
 ითამაშოს? რა საკვრეელია, რომ მეუღლესა შესა აქნეს  
 სიყვარული შენი: შენც გექმნება გაკლენა მასთან, ისარ-  
 გებლე ამით, რათა მოაქციო იგი ცუდისა ჩვეულებისაგან,  
 და ესრეთ კეთილად აღასრულე დიდი იგი მნიშვნელობა,  
 რომელი მოგცა შენ ქრისტიმან. ამინ.

# რევაზი და ნინო.

პოემა

დრამა სამს მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

გენიანა ბაბბარე—ქვრივი.  
ნინო იმისი ქალი.

‡ ქართული ტა  
‡ ნისამოსით.

რევაზი ნინოს საქმრე.

გიგო შორით ნაცნობი რევაზისა. (ჭუსის ტანისამოსით.

ვასტანგი რევაზის მეგობარი. (ქარ. ტანისამოსით.

გოენის დოკტორი.

მოახლე და მოსამსახურე. (ქარტ. ტანისამოსით.

---

## ძღვნა.

საკვარულნი მკითხველნი მე თქუენ გიძღვნიტ დრამასა,  
თუ შუამხნეუტ დრამაში, ზოგიერთს შეცდომასა,  
ბოდიშს უთხზოვ მოძიებუტ არ დამიწებოტ მტრობასა,  
მოკრიტებოტ, რადესაც შეგხვებოტ ერთმანერტსა.

# რევასი და ნინო.

პოემა

## მოქმედება პირველი.

გამოსვლა პირველი.

(სტენა წარმოადგენს ოთახს მარჯუნივ და მარცხნივ თითო კარებით, იდეკა მდივანი, მდივანის წინ სტოლი და კრესლები)

რევასი (შტატყური ტანისამოსით დაწვერით. ფიქრის შემდეგ.)

აჰ! მნათობო მზეო მზეო, შენაშეკნებ ქუჩუანასა,  
შენგნით ბრწყინავს ბნელი მთვარე, შენ ანათლებ ვარსკვ  
ლავებსა,  
მოდრუბლდები მოვლრუბლდებით. დაღონდები დაგვა  
ღონებ,  
დაშეკნდები გაგვასარებ, აუკავდები გაგვანოცსლებ,  
ნეტავი თქუნი მნათობებო: მზეო, მთვარე, ვარსკვლავებო,  
რომ უტყვი ხართ უგრძნობელნი, მხოლოდ გააშეკნთ  
ღამასებო.  
ვაი! გაცსა საცოდავსა, რომელიც გრძნობს უკვლავურსა,  
ტყუანა აქუს. გონებაცა, სწევს საწყალი სულ ჟაფასა.  
დაბადებით დაწუობილი სიკუდილამდინ შრომაშია,  
პატარობით სწავლაშია, მოხუცდება ტანჯუაშია.

საშობო წლამდინ, ოთხშობი წლამდინ, იტანჯება სულ სა-  
წყალი;

და მის შემდეგ კაცმა იცის უბედურნი გზა და კვალი:  
ხნით და ჭანით დაბრდება, თავსედ თმები, უოთრდება.  
იტანჯვის შემდეგ საცოდავი ზირუტუქსავით სმება გუდება.  
სწორეთ სამთელს ემსგავსებით, რომ ავანთოთ გამოხნდება  
მასალა, რომ დაიწყება სამთელიც ჩუქნ გაკვეჭრება,  
მიკვირს რაღათ ვიხადებით თუ, რომ კაცი მით თავდება,  
უფრო სჯობდა არ გვენახა ჩუქნი ეს უბედურება.  
შნათობებო! შნათობებო ჩუქნსავით გაქეთ თქუქნც  
სამძღვარი,

თქუქნც დაჭკარავთ ბრწინებალებას უველას ბოლო აქქს  
ამ გვარი.

ოჰ! ბუნებავ გიხაროდეს მართო შენა ხარ უკუდავი,  
მაგრამ ჭკრძნობგი ბატონობას? არა არა, შენც ხარ უტუვი!  
რა ქნას კაცმა გონიერმა შრომით გუდება საცოდავი.  
ერთის სიტუგით შებრალებით კაცმა ეს უნდა გამოხთქუქს:  
ვაი! ძმებო ჩუქნს კაცობას, ვაი! ვაი! ამ ცნობრებას,  
ვაი! ძმებო ქუქნახას, ვაი, მის მიმართულებას!..  
ხედავთ? კაციც ამაოა რით თავდება ჩუქნი ბედი,  
ამის შემდეგ ჩუქნ დაუთქრდეთ რიდასი გქქინდეს იმედი?  
რადას უნდა გამოუდგას უველას კაცი ანუ ქალი?  
მოგახსენოთ რა გვავლია: განათლება, სიუქარული.  
მე ბერს ვისმე ვეკონები ხასიათით უცნაური,  
რომ ქალებსედ ან კაცებსედ, სჯა იმათსედ მაქქს ამ  
გვარი:  
ქალს მე უფრო დავიწუნებ სახით დამახს უგუნურსა,

ვიდრე ქალსა ცუდ სსხისას, სჯითოი ჰკვანდეს გონიერსა.  
 ხემის ფიქრით ეს ცოლქმრობაც უნდა ამ კვარად სწუდე-  
 ბოდეს:

თუ კაცს ქალი მოეწონოს, ქალსი კაცი არ მოსწონდეს.  
 აღარ უნდა გამოუდგეს მაშინვ თავი დაანებოს;  
 კაცმა გული იმ ქალს ანდოს, რომელ ქალმაც შეიუჭაროს.  
 ბედია, რომ შემიუვარდა ნინო, სსხით ვშეჭნიერი,  
 ზედაც მე არ შევხედამდი ყოფილიყო უკუნური.  
 განათლებას რას ეძახით ნეტავ ვინმე მიპასუხოს?  
 იქნებ ამას: ქალმა, კაცმა ფრანდიცულათ იტიტიკოს,  
 თავის ენა არ იკადროს, ანუ თავი გაირუსოს? .  
 გსტდებოთ უკელანი ძალიან ეს არ გახლავთ განათლება,  
 უკელა რუსიც მართებული, შეგვიბრალებს ამ აზრზედა .  
 განათლებულს მას ეძახი: ვინცა ზრუნავს სამშობლოს-  
 თვს,  
 ვინც დიდ გულბს თავის ენით, ვინცა შრომობს ქვეყ-  
 ნისათვს.

გამოსულა შეორე.

ნ ი ნ ო .

(ქართულად თავ დახურული შემოდის.)

ჩემო რეკავ, რა კარგათ სჯი უურს გიგლებდი მე  
 სულ კარგო,

შველაფერში გეთანხმები რაც გამოსთქვი ესლა ცხარყო.

რ ე კ ა ვ .

დამიჯერე ნინო! ნინო! სავარელი ძვირუასია.  
 არათ მარტო ხვეწნისათვს მეგობროთაც სჭირთა

მე სიუჟარულს ან ვეძახი, რომ ვეტროდუ საყვარელსა,  
 სილამაზით გვიუღებოდუ და გხდებოდუ ქალისთვის;  
 ეს სრულებით მე ან მამწონს ანვის დავსომ ჩემს ხა-  
 ტონად,

ქუჭყანაზედ ამას ვეძებ, რომ მე ვიყო თაკისუფლად,  
 რომ მიუვანდეს ვინმე ქალი, ანუ ქალსა მე საწყალი,  
 სიტყვითი ანა საქმეზედ, ჩუქნ ვამტკიცეთ სიუჟარული.  
 ნ ი ნ ე.

ნუ გგონია ჩემო რეკაზ ეველა კაცი მაგრე სჯიდეს,  
 როდი იტნობს ამ ქუჭყანას ეველა ცდილობს ბორო-  
 ტობდეს.

მანამდისინ არას ჭფიქრობს, როდესაც რომ დაბერდება,  
 დაინახეს ხორციით ჭენება, გულიც ვეღარ იტემა,  
 იტყვს: კაცო შენ რა გარბე, რა! ვაიმე და გაქრება,  
 არც ვინ იტის მის სიუღდილი, არც სახელი მისი რჩება,  
 თუ, რომ ვარბე რითმე კაცსა ანუ შევანდეს საუჟარული,  
 მე ვარწმუნებთ, რომ მოკვდები ესომება მას სახელი,  
 როდესმე დროს მამიგონეს იტყვის: იყო კარგი ქალი.  
 ხედავთ რათ არის საჭირო სწავლა, მშობა, სიუჟარული!  
 ჩემო რეკაზ სწორეთა გსჯი მიზასუსე რას დაფიქრდი?

ქ ე ვ ა ზ

ნინო! შენში მე არ შეესტდი გეტყვი გულით შემი-  
 ანა  
 უჟარდი,

მე შენ ვარჩევ მეგობრათა შენგნითაცა მაქმს იმედი.

ნ ი ნ ე.

რეკაზის მზეს გეფიცები დიდი ხანია მიუვარხარ.

რ ე კ ა ზ.

ერთის სიტყვით ნინო გატყუვი: მე შენი ვარ, შენ  
ჩემი ხარ,

მიზანსუხე არ შემცდარვარ?

ნ ი ნ ო.

გარკი რეკაზ მეც თანახმა ვარ. . .

(ჩკონიანს ერომანურთს და ნინო გაღის.)

რ ე კ ა ზ.

ქნლას წავა უთუოთა გამოუცხადებს დედას,  
გაკსწვე მეც მივალ გასტანგთან და უამბებ ჩემს ამსჯეს.  
(გაღის)

გამოსვლა შესამე.

ბარბარე. (შეშოდის ქართულათ  
თავ დახურული)

მამწონს რეკაზი გარკი შჯლია,  
მხოლოდ სამსახურს არა გადრულობს,  
მაგრამ სწავლითჳი ბევრსა სჯობია.  
რა რიგათ უუვარს ჩემი ნინუცა,  
ფიციც შევიტყუ მითომც მიეცა,  
მიკვრს ნინუცას მე სიუწარული,  
როცა რეკაზი რომ აქ არ არიხ,  
საწყალი ზის სულ დაღონებული.  
რა დაგემართა კკითხამ მე იმას  
თქმუნს არ მამიკუდეო არა მცემს სიტყუას

გამოსულა მეოთხე.

ვასტანგ (წიგნით შემოდის ქართულათ ჩაცმული)  
ეს არის ესლა რეკასთან თიცხი ლაშარაკი შექონდა,

ბ ა რ ბ ა რ ე .

შენი ჭირიმე ვასტანგვან, მითხარ რას გეუბნებოდა?

(ვასტანგი წიგნს აძლევს.)

ბარბარე (მალა ხმით გითხულობს.)

გეტოდინებათ გარკათ, რომ თქვენნი ქალი მიუყარს,  
უეჭვნადა არც ნინო მაგასეღ იტყვის უარს,  
სწორეთ მე ვაპირებდი გვირას ჭუარის წერასა,  
მაგრამ რა გაეწყობა ამ ჩემს უბედურებას;  
მე საქმე მაქვს მივდივარ, აქედან იმერეთში,  
მერმე რომ დავბრუნდები ჭუარს დავიწერ ქალაქში.

თქვენნი რეკასი.

ბ ა რ ბ ა რ ე .

ამბავი რაც მამივიდა გარკია მადლობა ღმერთსა,  
იქნება ნინოს ეწეინოს, რომ აგვიანებს ქარწილს?

ვასტანგი.

რასაკერულია მაგრამა ნინო გერ ეტყვის უარსა,

ბ ა რ ბ ა რ ე .

ესლა აქედან წავიდეთ და მოვიფიქროთ ჩვენთვის

(ოწნივ გადიან).

გამოსულა მეხუთე.

რ ე კ ა ზ .

ღმერთო რა უბედურება ემართება ჩემს თავსა,

უნდა მოკშორდე მე ჩემს ნინუცას, გულსა და ვარდსა,  
დიდხანს ვერ გნახავ იმის ხელებსა, ღამაზ თუალებსა,  
უნდა მოკშორდე ჩემს სიცოცხლესა და სუაუბრულსა,  
მაგრამ რა გქნათ გამოუცხადებ ჩემს სურვილს ნინოსა.

გამოსულა შექქესე

ნ ი ნ ო (შემოვა და იმღერის).

სადაც შენ წახვალ თან გამოგუკვები,  
სადაც მოკრძობი იქ ვიმარხები,  
თუ შენ იღვინებ, მეც გავიციებ,  
თუ დაღონდები, მაშინ ვიტირებ.

უშენოთ ღვინი არ მიაშება,  
რომ გხედამ გული მე მიცოცხლდება,  
როცა არა ხარ თვალთ მიბნელებსა,  
უშენოთ სულთ, გული მიხშება —

ნ ი ნ ო (რეკაზს მიახლოვდება)

რათა ხარ ეგრე დაღონებული  
რამ შეაწუხა ებ შენი გული?

რ ე კ ა ზ .

ვერ უნდა ათვერ ამოვიხსნო,  
მერმე შეიტყოთ ანს სამწუხარო.

ნ ი ნ ო .

ჩემო რეკაზ მითხარ, რა გაქვს გულში დაფარული,  
რა მიხეცია, რომ ხარ უწყალოთ მოღრუბლული?

რ ე კ ა ზ .

ერთ საგანსუდ შენ მიპასუხე, ნურც შესწუხდები.

ნ ი ნ ე .

გარკი ბრძანე ებ შენი ღარღი,  
უპყველათ რასმეში მე მცდი.

რ ე ვ ა ზ .

სწორეო მითხარი მე შენ გიუჭარვარ?

ნ ი ნ ე .

ოჰ! რას მიბძანებ დიას მიუჭარხარ.

რ ე ვ ა ზ .

გჯერამს რომ შენის მეტი სიუჭარელი არა მუავს?  
იტი და გრძნობ გიდეტ, რომ უშენოთ მე შექუდარი ვარ?

ნ ი ნ ე .

აღარ გახსოვს, რომ გითხარი მიუჭარხარ,  
შენც რომ სთქვ: მე შენი ვარ, შენ ჩემი ხარ.

რეკავს, შენსავით ცივი გული როდი მაქქს,  
მე ქალი ვარ, ჩუქს სიუჭარელი უფრო გეწავს,  
გმარა, სულარა მტანჯავ სანდოდავს,

ოჰ! კვლარ უქლებ ბერს მოთმინებს,  
ჩქარა დამხარხე თუ ჰქლავ ნინუცას,  
უფრო სჯობია უბოლო ტანჯუას. . . .

(ტირის)

არა ნუ მეტყუ ნუ გამაგონებ მწუხარებასს,  
მე ესლა გტირი გული არა მაქქს ურის გდებისა,  
მერმე შევიტეობ უპყველას სულ შენსა აზრსა.

(ნინო 'გადის)

რ ე ვ ა ზ .

სედავთ რა რიგათ ეწეინა სწევალს ნინუცას?  
ოჰ! ჭეშმარიტათ უყვარხარ გულით შენს რეკავს.

(მღერის)

ხემა გარსკვლავო მიუწარხარ გუღით,  
 უმაწვლი გატი ვაჭედები სრულებით,  
 და გიგარტები შენგან მე შორით,  
 აღესწერ სიუწარულს ტბილის სიტუქმბით:

ვინა გსვობს ქალო შენ სიღამაზით,  
 შეოკულ წარბებით, ხუჭუჭი თმებით,  
 სინათლე შირსედ გადას მზისაკით;  
 რამდენს აგიუბ გატს შენის ქტკით.

შენი ნაზი ხმა რასაც მიბძანებს,  
 ათასსა მტერსა დაუთხრი თვალებს  
 მკლავს სიუწარული, გულსაც მიწუხებს.  
 სურვილს ეს გული შენ აღვისრულებს.

მე ამ აღერსით შენ გატკობინებ,  
 ვინა სიუწარულს გულს აგრძნობინებ,  
 შენთვს მოკვამდები თუ მით იღზინებ  
 ოღონდ მიბძანე ვისიამოვნებ.

რ ე გ ა ზ.

ესღა დრო არის მე წავალ საგზაოდ ბარგს მოკამზადებ.  
 (გადის.)

გამოსულა მეშვად.

ბარბარე და ნინო.

ბ ა რ ბ ა რ ე.

არ წაგიკითხავს ნინულა რას იწერება რეკაზი?(წიგნს აძლევს)

ნ ი ნ ა. (მადლის ხმით გითხულობს.)

ბეგრდინებათ კარგათ, რომ თქვენნი ქალი მიუჭანს  
უჭუნლათ არც ნინო მაგასეჲდ იტუჯს უანს.

(მერმე ჩუმათ დაახლოვებს)

ნ ი ნ ა.

თუ ან მოკვდელები დაუტდი შეტი რაღა ღონვა  
და იმის შეტი არცა შევას, არცა რა მახადია.

გამოსულა მერვე.

(ივინივე რევას საგზაო ტანისამოსით შემოდის, ვა-  
ხტანგი და გიგო.)

ბ ა რ ბ ა რ ე. (რევას ჭკითხავს.)

მოემზადეთ საგზაოთ თქვენს ეგრე მალე?

რ ე ვ ა ს.

გიანლები ბატონო თქვენნი ჭირიმე.

(ამ დროს გიგო ფარისეულად იუერებს აქეთაქით).

ბ ა რ ბ ა რ ე.

რა საქმე მიგაშურებსთ, ერთი მიბძანეთ.

რ ე ვ ა ს.

ეუბრე მიგდეთ ბატონო შე სწორეთ მოგასხენებთ.

ფულებისთვს მივდივარ ანგარიშის საქმე მაქვს,

ქუთაისში ერთს თავადს დიდი ფული ჩემი აქვს;

ფულის გარდა მივდივარ მიესეღო მამულს ჩემსს,

ერთი წლის შემდეგა თქვენს თავს დაგიკრავსთ რევას.

(ეველას ესალმება)

(მეფის ხმით)

ბ ა რ ბ ა რ ე (ეხვევა რეკაზს.)

მშველობით ჩემო რეკაზ ღმერთმა დიდხანს გატოტხლოს  
ბედნიერად გამოყოფას და ხელი მოგიმართოს.

რ ე ე ა ზ (კიკოს ხელს აძლევს შემდგომ ვახტანგს  
ურში უჩურჩულებს და ნინოს ხელსეუდ ცოტნის)

მშველობით ნინო ნახვამდე (ნინო ტირის უველანი ვა-  
დიან და უვირთან მშველობით ვახტანგის გარდა)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი (სასოგადოებას)

რეკაზმა ვითხრა საწყალმა შენ უური უბლო კიკოს  
ღმერთსა გუფიტავ ვერ მივხვდარვარ ეს თხოვნა რა უნდა  
იყოს.

ფ ა რ დ ა ნ ა მ ო ი შ ი ტ ბ ა

მოქმედება მეორე.

სტენა წარბოადგენს ისე იმ ოთახსა, სადაც იჯტება  
მდივანი, სტოლი კრესლეი.

გამოსვლა პირველი.

კიკო (შტატყური ტანისმოსით ჩაცმული)

გასწია კიდეც ჩუქნმა რეკაზმა,

მგონია ნინო სულ ეჩუქნება,

ქალის ტირილი მშუქნაიერება,

ამის ნაზი ხმა სულ აკონდება,

სიუჟარულისგან ხან და ფიქრდება,

ხან სულ მგონია გული უსკდება,  
 მაგრამ მე ვიტყვი ნუ ეწინება,  
 რომ ჩემი ცოდო მას გარდასდებს,  
 იქნება კიდევ ის დაავიწყდა,  
 ჩვენს რომ ქალაქში ხსუბი მოკვირდა,  
 მეჩემ რა მიუღო რა დამიშავა  
 შეურილობაში მე გამაშავა,  
 ის ამტკიცებდა ჩემს ავ გაცობას,  
 უნამუსობას ავანაკობას,  
 მე თქვენს გარწმუნებთ სულ ყურს უკლებდი  
 ჩუმათ ვიყავი ხმას არ ვიღებდი,  
 გამოსვლის დროსა გულში ვამბობდი:  
 ეს! ძმაო რეკავ შეც გარდაგინდი.  
 აქამდისინ მე სულ დროს უცდიდი  
 ისიცა კმარა რაც რომ შევსწუსდი,  
 ესაა გი უკვლავს გამოუცხადებ,  
 რომ შენს ნინუტას დაგაკარგვინებ. (ფიჭრის შემდეგ)

რას ვეპარბლები საწყალს ნინუტას,  
 დას მე ვახდენ საშინელს ცოდვას,  
 მაგრამ ვერ დაკშლი ამ მშენსიერ აზრს,  
 რეკავ გაიცნობს უბედურებას. (გადის)

გამოსვლა მეორე.

კ ა ხ ტ ა ნ გ ი .

საშინელება უოფილა კაცი რომ მარტოა რჩება,  
 აჰ! მეტობარო შენთან არს ჩემი გული და გონება,  
 მეტობარისთანა საჭირო, არც ნათესავნი უოფილან,

მას გარდა ნურვის ენდობით, უკუღასი გვეფერებთან,  
 დიად მშობილი ისა არის, ვისაც სურს ჩემთვის კეთილი,  
 თუ, რომ ეს მშობელს არა სჭირს, ნულარ გგონიათ  
 მშობელი,  
 ვინც ეძებს გულის მეგობარს უნდა, რომ ამგვარი ჭბოვას:  
 შესწ მამობრებით იწვალოს, მშობურათ მან შეგიუწაროს,  
 გადარბდები გიშეუღოს, გაჭირებაში გაღხინოს,  
 თურამ მტერს გულარ ერევი, სტდილობდეს გარდაუხადოს,  
 ბეგრჯელ ნუ იტუვს მიუწარხარ, ერთხელ სთქქას მაგრამ  
 გამოს,  
 ეს უნდა სჭირდეს მეგობარს მხოლოთ მის ჰოვნა ძნელია,  
 თუ, რომ შეგვდებათ ამ გვარი, მმარხედაც საუწარელია.

### გამოსულა მესამე

კიკო (დაბლა ხმით)

ფიცხათ ასხენებს შეგობარს, სჩანს, რომ კაცი მოცა  
 ღიღია.—

(კახტანგი ხელს ჩამოართმევს)

გ ა ხ ტ ა ნ გ ი .

ერთ საგანხედ ამას გვითხავ მსურს რომ კიდეც მი  
 ჰასუხოს.—

გ ი კ ო .

საა ბძანეთ თქვენშიც ახრმა იქნება არ დამარხომოს.

გ ა ხ ტ ა ნ გ ი .

ვერ მიმხედარვარ რა გრძნობაა, ეს სამშობლო სიუწარული,  
 თითქმის რაღაც საიდუმლო, ბუნებითვე დაფარული,

რომ მოშორდე ნათესავსა, არ დაგეწვის ისე გული,  
 როგორც მამულის თბობას იგრძნობს მთლათ შენი  
 სსეული  
 შიისკდავ მოიხედავ არავინ სხანს არც ქართველი  
 არც სამშობლო მშენსნიერი, გულიც გრძება წარჩევი,  
 ნამეტნაკათ ვაი! კაცსა, რომელთაც რომ თვის მამული:  
 არის თხრათ, უშატრონათ, მაშინ ნასე იმის წრემელი,  
 უკულა კაცი გონიერი ასე არის მოუჭარული,  
 სამშობლოსთვის თავს მოიკლავს თლონდ იუოს ძღუნა  
 კეთილი.

შე სამშობლოს სიუჭარულში არ ვუაფილვარ გამოსც  
 დილი,  
 მაინც მაგ გვარ აზრებიდან გული მაქნეს განშორებული,  
 ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .

კაცი ძვირათ მაწუენებს, მაგრამ რაც უსლა გამოსთქვ..  
 გ ი გ ე .

სამშობლოზედ მოკასსენეთ ამის შეტი ხომ არა ვსთქვ.  
 ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ,

შე შენ გარწმუნებ კაცისა, ებ არის ნაკლებულება,  
 გ ი გ ე .

ჩემთვის სანიათონია, რომ კაცს გაუწიო მტრობა,  
 ვეძებ იმ გვარ მინუტებსა ვნახო ვისიმე წვალება,  
 გული მაქნეს მოუსვენარი სანდის ხანაც მიამება;  
 უბრალო საგანსეუდ კაცი, რომელსაც რომ იღუპება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .  
 მაგ ხანიათს დასებუ ვა რა ღვინია მტრობა.

გ ი გ ო . (დაბლა ხმით)

კბ მე ვიცი ბატონო და თქვენმა ძვირფასმა რეკაზმა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .

რათა რა ბძანეთ თქვენს უხლა? რა გამაგონა კნიაზმა!

კიკო (დგომით)

არა მე ეს მოგახსენეთ მე ვიცი და ხასიათმა. (ტაღის)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი .

მაკვირვებს ამ გვართ კაცი, როგორღა უნდა გაირეკნას, რომ მტრობის მეტი იმასა, აღარაფერი არა სწამს, არც მეგობრობა, არც ქმობა. არც გულით ვისმეს ენდობა, სამშობლო მისთვის ფუჭია და ვეუღას ის ემტერება, რასა ჭკაკს მისი სიტყვადე, უოკლის ფრით უბედურია, უკანასკნელი ზირ უტყვ იმასედ უკეთესია. (ტაღის)

გამოსვლა მეოთხე.

ნ ი ნ ო (დაღონებული)

რათა ვარ მკითხეთ დაღონებული?

ანუ რათა ვარ თითქმის შეშლილი,

ვისი შაწუხებს მე სიუჭარელი?

სულ მიხეზია რეკაზის გული. (მღერის.)

ოჰ! საუკარელო, ვარდი გიხმება,

უშენოთ თრბება, უშენოთ კვდება,

მანამდის მოხვალ სრულად დასკენებს,

უწვალათ საწუალს გული — უღნება

შენ, რომ მოფრინდე გაუხარდება,

გულის ტკივილი დაუამდე;

თორემ უშენათ თითქმის იტყუება  
სიწითლე შენს გარდა სულ წაუხვდება.

შენ, რომ ეჩვენო გაიფურჩქნება  
სიმშენსიერე დაუბრუნდება,  
ბუღბუღისავით მოგიფრინდება;  
ღამისი გულიც გაუტოტნდება! . .

გამოსვლა მესუთე,

ვანტანგი და ბარბარე.

ბ ა რ ბ ა რ ე .

საწყალს რეკასი რა რიგათ უუკარს,  
ზის მარტოკა სულ და არ იღებს ხმას,  
ჩემს განესში მე-არ მინახავს:  
ქალმა გადისთვს, თავი მოიგლას.

გ ა ხ ტ ა ნ გ ი. (გრძნობით.)

მე თქვენს განწმუნებთ რეკასსაც უუკარს.  
გაღის სიუარულს სულ გულში მალავს,  
როდი აჩვენებს ქალს თავის ტანჯვას.  
ერთი მიბძანეთ ვისთვის კედებოდა?  
ან ცისმარე დღეს რათ იშლებოდა?  
ბეგრჯულ მინახავს რეკასის ცრემლი,  
და მოსდიოდა გულის ფრიალი.  
რა მიზეზია ან რათა სწუხდა?  
ვიცი, ნინოსთვის სულ თავს იკლავდა.  
დიდით მაწუხებს მეუბნებოდა:

ნინოსგან წასვლას და მოშორებას.

ბ ა რ ბ ა რ ე . (სურვილით)

რეკაზ აქედგან, რომ მიდიოდა  
ეუროპი რაღაცას გასურებულა?

გ ა ხ ტ ა ნ ბ ი .

ეური უბედო კიგოსი მითხრა:  
გიდეც საწვალმა ამოიხსრა.

ბ ა რ ბ ა რ ე .

რას დეოთრეკა ჩუწნთან რა უნდა?  
სჩანდა, რომ რეკაზს ემდურებოდა.

გ ა ხ ტ ა ნ ბ .

რას მოგახსენოთ კიგოს ამბავი,  
მასხომის შორიდგან მაგას კიცილობდი,  
ეველას ახსენებს მაგის სახელსა:  
როგორც ბორტსა და აკას გატსა.

ბ ა რ ბ ა რ ე . (უსიამოვნებით.)

დასწვევლოს დმერთმა ეგ რინ უოთუილა?

გ ა ხ ტ ა ნ ბ ი .

ესლა იქნება ის გამოცვლილა.

ბ ა რ ბ ა რ ე .

დროა წავიდეთ ნინოს შეეხედოთ

შინ მარტოკა ზის ვასიამონოთ. . (ოღნივ გადიან).

გამოსულა შეეძესე

ბ ი ბ ი (დიდის გრძნობით.)

საკურველია ვხედავ აშკარად,

რომ მე ვიქცევი ამითან, ცუდად.  
 ვიცი, რომ ვლუშავ სატოდაებს  
 ორნივ დაჭკარებენ გულის წაღიღსა.  
 რას ვემართლები დედაკატებს?  
 ანუ ნინუტას ან მის დედას?  
 რას ვემართლები ამათ რეკასა?  
 ღანძლის გულისთვს მე კვლავ იმასა;  
 მაგრამ რა უყო ჩემს ხასიათსა  
 ვერ მოკვრევი მე ბუნებსა...  
 დიდი ხანია ჩსუბი მოკვინდა  
 მაგრამ აქამდის ვერ დამავიწუდა,  
 შევიფიცე კიდეც, რომ გარდაუხდი —  
 ესღა ვიფიქრებ როგორ დავიწყო  
 მათ სიუჟარული რით უნდა გაყო... (ფიქრებს)  
 (სინარულით.)

მადლობა ღმერთსა ძლივს მოვიფიქრე,  
 რა რიგით ესღა მე გავისრე.  
 ხვალვე მოკახდენ ჩემებურათა,  
 და მით ცხოვრებას გავხდი დრამათა!!.. (სახქარლოთ გაჩბის)

გამოსულა მეშუდე.

ნ ი ნ ო.

გულში მე სულ კთვლი რაც დრო გავიდა,  
 როგორც რეკასი ქალაქს გამოდა — (ფიქრებს).  
 დღეს სწორეთ ხუთი თვე შეუსურღდა.  
 (გოგო შემოდის წიგნით.)

ნ ი ნ ო (განკვირვებით.)

რა უნდა გოგოს, რომ შემოვიდა! (გოგოს).

კვ წიგნი მე სომ არ მომივიდა? (გოგი წიგნს აძლევს)

გ ო გ ო.

თქვენნი ჭირივე რა მოგასხსნათ!

ნ ი ნ ო. (სინაზულით).

რეკვირის წიგნი არის უთუოთ!. (სხნის და კოცნის)

ნ ი ნ ო.

საუყარლის წიგნი ძლივს არ შეღირსა,

აბა რასა მწერს ახალ ამბავსა,

რით გაასარებს დანატრულ გულსა (კითხულობს წიგნით).

ნ ი ნ ო . (შიშით)

ჟერ არაფერი არ შეუბრუნებს? (კითხულობს).

ნ ი ნ ო . (ეჭვით).

აჰ! რა შესმის გული მისქდება,

ბოლოს მოიტადეთ რაღა იქნება;

ნ ი ნ ო . (კითხულობს.)

მიშველეთ გული მე მიწუხდება! . .

(წიგნს კელიდგან ატდებს გრესლახედ წამოწებას შერე მო-  
ბრუნდება)

ნ ი ნ ო (განკვირვებით.)

ღმერთო რა იყო რა დამემართა,

კინაღამ სული ამომივიდა.

შენ ჩემო თაო! რეკვირეობა მომეჭრა,

ჩემის საუყარლის სული გამჭრაღა.

მწერს რომ კვდებაილ ნუ შესწუხდებაი,

ჭმარი შეირთე შეუყარდებაი

ან რეკაზო, ჩემიც გათავდა,  
 ესა ჩემს სულსაც ვეველა მოსძულდა;  
 საწყალს ეგონა მეკი დავრჩები?  
 მე შენ გარწმუნებ თუ არ მოკვდები!  
 მის მე აქედამ დავიკარგები,  
 სულ ამ ქუჩეანას დავკმალები,  
 არც კაცს თავის დროს დავენახები,  
 გაგწავ ტყაბში დავიშარებოი!. (ტრემლს იწმუნდს).

ბერი ტირილი არაუერს მარტებს,  
 უნდა რომ სრულად გული გამისქდეს;  
 ჩემთვის სიკვდილი რით სულ ერთია,  
 ტანჯვთ ვეველასედ უფრო ძნელია. . (გოგო შემოვა)  
 ნ ი ნ ე (გოგოს)

ჩემო მარინე მე დამიჯერებ?  
 რასაც მე რომ გთხოვ შენ ამისრულებ?

გოგო.

უარს თქვენმა მზემ ვერ მოგასვენებ.

ნ ი ნ ე.

მე შენ ამას გთხოვ: საქმრო მომიკვდა,  
 წიგნი ის იყო რომ მომივიდა,  
 რომ წავიკითხე გული გამისქდა  
 თითქმის სიცოცხლეს სული მოშორდა,  
 ვეველა მომძულდა მწუხარებისგან  
 დავიკარგები სადმე აქედგან,  
 წამომეუ შენცა თუ მე გიყვარვარ!

გოგო.

რას თხოვს მინდა და ბატონი ხარ.

ნ ი ნ ო.

მაშ წადი ბარგი შენ მოამზადე  
 მზათ რომ იქნება გამომიცხადე (გოგო გულის.)

ნ ი ნ ო (მწუხარებით).

რითა დაელება ჩემი ცხოვრება,

რა რიგათ მოხდა არ შეუურება?

გატს რომ მოუა უბედურება,

უეჭველია აუსრულდება .

მშჯღობით დედაკ ნუ გაწეინება,

ვიცი გაგტყვა არ გაიმება,

მაგრამ რასა ვიქ შენი ჭირიმი.

მომიკრება გულის საეურელი მე! . (გოგო შემოდის)

ნ ი ნ ო (გოგოს.)

უკვლამ მზათ არის აბა წაუიღეთ! .

ჩემათ გაუიღეთ არავის შეესდგომო? . .

(ცრემლებსა იწმენდს და გადის)

გამოსვლამ შერკე.

ბ ა რ ბ ა რ ე და ვ ა ს ტ ა ნ გ ი.

ბ ა რ ბ ა რ ე.

საკვრეელია ნინო სად არის? (წიგნს უეურებს)

აკურა ვასტანგ ის რადა არის?

(ვასტანგი წიგნს აიღებს და წაიკითხავს მაღლა ამ  
 წიგნის კითხვაში საშინლათ იტანება ბარბარე. ხან ვას-  
 ტანგს შესტკეარის ხან უკან მიიხედამს და ხან თაყუდ-  
 ხელებს დაიდებს.)

## ძვრთასო ნუცა!

ზირველი წიგნით ნინუცავ თითქმის მე უნდა განსწო, რომ წაიკითხავ შეიტყოფ, რომ აჩის მანდ სამწუხარო. განკალითა გწერ ამ წიგნსა და გული მიტყმს მე ძლივსა, დღეს მოკმორდები ან სვალა ამ მჭუწნიერ ქმწყანასა. ნუ შეწუხდები ნინუცავ, რომ შეიტყობ ჩემს სიკუდილსა, მორთვე გარჯათ, ღამასათ იშოვნი უკეთეს ქმარს; თუ რომ ქმარს აღარ შეიროავ არ ეუვარები რეკასსა; მე ხომ დღეს სრულად გაქტები მოკმორდები მე ხო ცოცხლესა! .

## შენი რეკასი.

ბ ა რ ბ ა რ ე (უვირლით)

მიშეკლეთ ნინო სად აჩის უბედურება მოსვლია!

(ტარეთ გარბის)

გ ა ხ ტ ა ს გ ი (შუბლიგას).

აჩა თქუწნმა მზემ მე ვიტან ეს სწორეთ გიგას სელია, რეკასის მაგიერათ წიგნი, იმ უმაწულს დაუწერია; რომ წაიკითხე შევიტეე მაშინ, რომ სულ ტყუილია, მე თქუწნ გარწმუნებთ ესლაც რეკასი რომ ცოცხალია?! ნინუცას მართლა ეგონა, სუდამთ რა უბედურია?

საწული სად გაქტეულა სრულებით გიგას ბრალია. (გაფიცებულად)

მე გარდუხდი იმასა შევიტეე ვინც მიწესია!!

(ფარდა ჩამოიშეება)

(სწავლით მწეუბ)

## მოქმედება შესამე.

სტენა წარმოადგენს ჰატარა ტყეს, მარჯვნივ ტყეში იდგება უბრალო ხის სახლი კიბით.

## გამოსვლა შირველი.

ნ ი ნ ო . (კიბიდან ჩამოდის დაღონებული)

გამოვესალმე ქუჩუანას, დაკარგული ვარ ტყეებში, ვგდივარ მარტოვან ამ სახლში, როგორც რომ ჩიტი ბუდეში, ვინ არის ჩემი ჰატარანი ამ საშინელსა მინდვრებში, — დღეს ცოცხალი ვარ ხვალ ვინმემ იქნება ჩამაკდოს წვას ლში. —

რამდენი ხანი გწვიდა, როგორც მოკშორდი მამულსა, ვინ იცის როგორ სცხოვრებენ, რა დაუმართა მშობელსა თქუ! საუწარელო რეკავო, მეცა ვშორდები სოფელსა, დიდი ხანია მეჭდარი ვარ მოლოდ ვაცრძელებ ტანჯვას. ჩემი ღუთის თხოვნა ეს არის მოკშორდე მე სიცოცხლესა, მაქქერ საიქიოს იმედი, შეესწდები ჩემს საუწარელსა.

(კიბეზედ იშვეით ავა ნინო.)

## გამოსვლა მეორე.

(ბოლოს სტენაზედ გამოჩნდება რეკავი ვითით, ორივე თუალებით დაბრმავებული, თან კვიდება ღამისაჲ შუბაში გახვეული და იმერლის ბიჭი იმერულათ ჩატმული.)

რ ე კ ა ვ ი (მღერის)

ბედნიერი ვარ კვლარ ვხვდავ, მე წუთ სოფელსა,

ველარტ მეგობარს, ვერტ ქმისა, ვერტ საყუარელსა  
ვინ იცის სოფლათ რამდენ ტანჯუას გამოივლიან,  
იმითხედ უფრო გული შეწვის მებრალუბიან.

ზოგსა ჭტონია ამ სოფლიდგან საგძალს გაიტანს  
ცრუის ფიქრისგან საცოდავი სტანჯავს გულსა და ჭანს;  
ან საკუთრებას ამ სოფლათ გამოისახავს,  
ის გი ან იცის შავ მიწის მეტს ვერას წარიტანს.

ოჰ! დამიჯერეთ მეგობრებო ჩუწნი ცხოვრება,  
რომ სულ ფუჭია და სიტყვისლე სიზმრათა ქრება,  
როგორც ვეპილი იფურჩქნება და მერმე ჭკნება,  
უმაწელი ქალიც ჯერ აღუვაის, შემდეგა ხდება.

გატი ის არის ვინც სიკუდილსა ან ემალება,  
ვინც, რომ უშიშრათ და უოხლათ მას დაუხვდება,  
ნეტავ მოვიდეს ის სიკუდილი მე შენატრება,  
რომ მოვაშორე წუთ სოფელსა უმაწულ კაცობა.

იქნებ გეგონოს გეფერები ოჰ! გატის მტერო,  
რომ ვერას ვხედავ, ხან ბოროტო, ხან მშუტნიერო;  
ოჰ! ბუნებაჲ შე გიუივი გატის მტანჯველო,  
შენ ხარ მიხეზი უოვლის ფრისა შენ უგრძნობელო.

ნ ი ნ ო. (ამ ხმაზედ კიბიდგან გამოვარდება.)

ვისი ხმა მესმის ეს მშუტნიერი, ან ვინ დასტირის  
უბედურებას,  
ვის დაუვარტავს უმაწულ კაცობა, ვინ ემდურება თავის  
ცხოვრებას,

თითქმის საწყალი მთლათ მწუხარებას, უსხნის სეებსა და  
მთელს ბუნებას.

(გაშტერებული უუურებს.)

ვინ უნდა იყოს დაბრმავებული, აბე იქ, რომ სდგას.  
მაგრამ უოფილა სხანს მშტწნიერი უმაწლობისას  
(დიდხანს უუურებს და მერმე იცნობს რეკავსს)

ოჰ! იცით ვინ არის? ჩემი საუჭარული რეკავსია,  
ერთი შეხედეთ თქვენს იმას, საწყალი სრულათ მკუდარია,  
მადლობა ღმერთისა იმასე, აქამდის რომ ცოცხალია,  
სწორეთ არ ვიცი ვინ არის, იქნება ვინმე სხუა იყოს,  
თუ რეკავსია შევიტოოთ თავის ამბავს, რომ დამიწეობს.

(რეკავსს მიანლოვდება)

შმაო, მითხარი ვინა ხარ საიდგანა ხარ მოსული?  
თუ შეიძლება მაცნობე შენი გვარი და სახელი.

რ ე გ ა ზ ი . (სტენას მოახლოვებისან უუელანი)

შეგატეობინებთ მაგრამა, ამბავი დიდად გრძელია  
ნ ი ნ ი . (დაბლა ხმით)

ოჰ! ღმერთო ჩემო სად დავიკარგო ხმაც იმისია,  
აე წავიკითხვ წიგნში ვითომ რეკავს მკუდარია,  
გვრძნობ ჭეშმარიტად ესლა ვი მოხდენა მტრების საქმეა,  
ჩემის შევთომით საწყალი ეს გაცი უბედურია.

(ამ დროს გოგო შემოვა, ნინო ანიშნებს,

გოგო ხის სკამს გამოიტანს და რეკავსს დასმუნ)

რ ე გ ა ზ ი .

უმაწლობისას სწორეთ მოგახსენოთ ვიუა ღამაში,  
სახელსაც ჩემსას შეგატეობინებთ გახლავარ რეკავსი,  
შეოლიდგან, რომ გამოკელ შემიუჭარდა მე ერთი ქალი,

ერქვას ნინუცა სსხით ჰირ შუე და გულით კეთილი.  
 გამოუცხადეთ მაშინვე ერთმანეთს ჩვენ სიუტარული,  
 ვუარის წირასედ დედაცა ქალისა იუენენ ყაბუჯნი.  
 ქუთაის საქმე მამიხდა მიწურე შე იმათ წიგნი,  
 წელიწადს ადრე ქორწილი, რომ ვეღარ მოხდება ჩუჭნი.  
 (ამოიოხრებს და დადგება).

ნ ი ნ ე .

და მერვე ბატონო, შემატუობინეთ ამბავი თქუჭნი?

რ ე ვ ა ზ . (კელს ართმევს)

შენი ნაწი ხმა საშინლათ მაგონებს საწუალს ნინუცას,  
 რამდენი ხანი გავიდა, რომ ნინო მე არ მინახავს,  
 დაგობოლოვებთ ჩემს ამბავს და ჩემის უბედურებას,  
 შეგატუობინებთ ვის ვეძებ, ან ვისთვის ვიკლავ გულს და  
 თავს.

ნ ი ნ ე . (დაბლა ხმით)

შეიტეო გიდიც ვინა ვარ, რა ეშველება საცოდავს

რ ე ვ ა ზ .

ვიცნობდი ერთს უმაწულ კაცსა, არ გახლდით სწორე  
 გულითა,  
 არამც თუ მარტო ვაძაგებ, ვერც ერთი იტყვს ქუასსა,  
 მას კიგო ერქო სახელად, მიცნობდა მე ვითომც მტერსა,  
 ხან და ხან მეუბნებოდა: შეც ბარდაგიხდი კარგ ღროსა,  
 მე იმერეთში, რომ წავალ ის კიგო დასწერს ერთს წიგნსა,  
 და გაუგზავნის ნინუცას, მოაწერს ჩემსა სახელსა;  
 ქალი, რომ წიგნს წაიკითხავს შეიტუობს იქ ჩემს სი-  
 კუდილსა,  
 და სუცა ჩემის გულისთვის გაიქცა სხუა ქუჭყანასა —

ნ ი ნ ო . (მწუხარებით)

ქალის დედამ, რომ შეიტყო ძალიან ხომ არ ეწეინა?

რ ე კ ა ს .

დაიხ ბიტონო საშინლათ დედა ქალისთვის შესწუხდა,  
უნინუტოთა ვერ გაემღებ ამისაც მეუბნებოდა,

ნ ი ნ ო .

კიყო რომ გახლდათ მიზეზი აქამდინ ის ცოცხალია?

რ ე კ ა ს .

ოჰ! არა შენი ჭირიშე და ისიც ხანჯლით მკუდარია,  
ჩემს ვახტანგს მოუკლავს მაშინ ამბავი რომ შეუტყვა.

ნ ი ნ ო . (ბიჭუსად)

ეს ვინღა გახლავო ბატონო, ანუ სადაურია?

ბ ი ჭ ი .

ნიერელი გახლავარ ქუთაისიდან მოსული.

ნ ი ნ ო . (რეკასს).

თუ გნებავთ მოისვენეთ ბრძანდებით თქვენ დაღა-

ლული,

(რეკას ადგება, ნინო და ბიჭი გელს მოჰქვი-

დებენ და კიბესუდ სხსლში შეიუვანენ)

ნ ი ნ ო . (კიბიდან ჩამოდის მარტოვან)

ორივე თქალებით დაბრმავდა უბედური და სწყალი,

რ რიკათ უწინ ბრწეინავდა როცა რომ იყო უმაწული.

ოჰ! მამტიკე რეკასო, ჩემგნით ხარ შენ დანაგრული,

იქნება იმას ეგონათ რომ მე ვარ მოსვენებული?

ოჰ! ჭეშმარიტათ გავიცან რა არის ეს სიეჭარული,

რ ვიცოდი, რომ რეკასი უოფილა კიდეც ცოცხალი?

ესღა ვეცდები იმასა, რით მოურჩინო თქალები,

მაგრამ ვინ არის ზატრონი, ვის აქვს თუალის წამლები,  
 ნეტავი ამას მოუწიეს მეტყე დაძარწოს ცოცხალი  
 მაინც ხომ იმას შეიტყობს, მეც რომ ვარ იმისთვის  
 მკუდარი.

(ამ დროს შემოვა გოგო)

ნ ი ნ ო .

სედამ? რომ ღმერთმა მოგვხვდა, სად მოიყვანა რევაზი,  
 გასოვს, რომ გულით მიუწარდა, სწორეთ ეს არის კინაზი,  
 აბა შენ ესაა მიშველე და მოიყვანე დოკტორი,  
 ექნება თუაღის წამალი, მოაჩვენა ის უბედური.

გ ო გ ო .

წავალ მოვსძებნი აქიშას, თუ მოვა ხომ დიას კარგი.

ნ ი ნ ო .

ფულებს ვიშოვნი გაყვიდი რაც მახადია მე ბარგი.

(ორნივე გადიან)

გამოსულა მეოთხე.

რევაზ და ბიჭი (წინართ ჩამოდიან გიბითგან)

რ ე ვ ა ზ .

რათ მომიუწიან შენ აქა, ხომ სედამ, უფრო ვხდები,  
 ჭაღის ჭიკჭიკი მაწოხებს აქედან დავიკარგები,  
 იმის ხმა ნინოს მაგონებს იმიტომ გულით ვკრეფები,  
 გულის სინაზე მას უტავს ამ მიხეცებით ვსწუხდები.

(ამოიხსრებს)

სად არის ნამდვილი ნუცა, იმას როდის შევეუბნები,  
 იცის, რომ ვკრეფები და ვხეუბი მირუტყვებს მე ვემსჯავსები?  
 დასწევალს ღმერთმა კიკოცა და იმის ამხანაგები,  
 თქვენს დამიკარგეთ წინუცა, გაკვსადეთ უბედურები,

ბეკრი ვიტანჯე მეუღლას, სიტუაცსლეს, მე გავეყრები,  
შუბლში დაგიცემ დამბახას და წვირსაც მით მოკშორდება.

(დამბახას ამოიღებს)

ბ ი ჭ ი (დააუენებს)

გინასო რეკავზ რას ბრძანებთ, თქვენსგანთ ეგ რა სა-  
თქმელია?

ღმერთი გი ნუ გაკაწვდებათ ის სულ ბოლო მოწყალეა.  
გამოსვლას მესუთე.

(კოენის დოქტორი, ნინო და გოგო მარჯუნივ ტეი-  
დგან შემოდინან)

ნ ი ნ ო . (დოქტორს)

აჰ! ღმერთი გადღებრძელებს სათხოვნელი თქვენთანა  
შაქქს.

დოქტორი (დაბლა ხმით)

ერთი შესედეთ ამ ქალს სწორეთ ანგელოზსა ჭკაკს!

ნინო (რეკავზს ედ აჩვენებს)

აჰ! ხომ ჭხედავთ ბატონო, რა ეშველება ამას?

დოქტორი (შინჯავს)

ახა მიბძანეთ გინასო ეგ საქმე, როგორ მოგსვლიათ,  
რამდენთვის თქვენს თქალებს, ან როგორ წაგიხდენათ.

რ ე გ ა ზ .

ესწავდი ბატონო გზასედა, ჰატარა ჩემსა ჩაბუსსა,  
ან ვიცი რისთვის დაუწეე შინჯე შე თოფის წამალს;

ჩაბუსის ტენსლი დაეცა მაშინვე მიუღო ქაღალდსა,  
ერთხანსათ წამალიც გასქდა და ეცა სულ ჩემს თვალებსა.

დოქტორი. (ნინოს)

მამ შეიძლება სამის თვით გინასი მე წავიუჭანო?

დიდი სურვილით გეცდები თქვალბი მათ მოურჩინო.

ნ ი ნ ე .

აღონდ კი ეს მოაჩინეთ თქვენსი ნებაა ბატონო.

რ ე გ ა ზ .

ვინ არის ქაღი, რომ წრუნავს? ღმერთმა დაგლოცოთ  
დედანი.

(ღაქტური, რეკავს და ბიჭი გადიან)

ნ ი ნ ე .

მანამდისინ არ მოაჩინეს ვერა ვარ მოსვენებული,  
მწუხარებისგან საშინლათ გული მაქვს მე დანაგრული.

(ზეკით ადის სასლში)

გ ე გ ე . (ტოტას ხანს შემდეგ)

ამათ ამბავი მაშტკრებს რა რიგათ შესვდნენ ერთმანერთს,  
კეთილ საქმესედ ღმერთიდა, სუყოველთჳს კატს შეიბრას  
ლებს,  
ესლა დრო არის მე წავალ, დავგვი და დავსწმენდ  
ეთას  
ხებს.

(გოგო შემოიტანს სხოტკას და ჭკვის სტენას. და  
შერმე გაკა).

გამოსვლა მეექვსე.

ნ ი ნ ე . (კიბიდან ჩამოდის)

ვარდი შესვდა თავის ღომისა, მაგრამ უწუხს კიდევ გული,  
რომ საუქარელს არ ეგონოს ვარდი ჭეკანდეს წახდენილი,  
გააშუქებს დამბახისა უმანუხების ნინოს სული:

ტანჯუა მეფე საუქარელთა გმადლობ რეკავს, რომ მამკალი,  
მე იმისგან არა მჯერა აღსარულთს ჩემგან თქმული,  
ჩემსედ ექვსა გადაუერის, ადრინდელი სიუქარული.

(გოგო შემოვა)

ნ ი ნ ო (კოგოს)

დღეს სამი თვე შესრულდა, როგორც რეკაზს ჩუქნ  
მოკეპორდა

აქამდისინ შე გონია დოქტორი მას მოარჩენდა.

გამოსკლა შეშუდე

(შემოდინს: დოქტორი, რეკაზი თუალები ხელდახრით  
აკრული და ბიჭი)

დოქტორი (თავ მოწონებით სხათს უყურებს)  
ათი მინუტი აკლია, სრულებით ამათ მოარჩენას.

ნ ი ნ ო . (შიშით აქეთ იქით მიიხედავს)

რა ეშელება ამ ჩემს საკვს, უეფრათ რომ დამინახოს?  
დოქტორი (სხათს დახედავს)

ხუთი მინუტი აკლია ჩუქნის ვადის შესრულებას.

ნინო (დაფანტული)

ოჰ! ოჰ! ქუჭუნანავ მშჯლობით, ესლავ დამარჩობს და  
მამკლავს!

დოქტორი (სხათს უყურებს)

ბიჭო ესლა კი დრო არის თუალები აუხსენ განახს.

(ბიჭი სხნის თუალებს და ნინო რეკაზის მარჯუნივ დაიხილებს)

რეკაზ, (თუალებს ახილებს)

მადლობა ღმერთსა ძლივს მოკრჩი ამ ჩემს უბედურებას,  
ნეტავი ნუცა მახეუნათ მამინევი ვიცნობ შე იმას.

(მარჯუნივ მიიხედავს)

ვინ არის ეს დამოქილი? თქუჭნი ჭირიმე ნონოს ჭკავს,  
სწორეთ ის არის მიშეკლეთ ხომ არა გუდავ ჩუქნებას.

(ეჩეკვიან ერთმანერთს)

რეკაზ (ცოტას ხანს შემდეგ)

ჩუბნ დაკამტვიტვთ ნინუტავ შით სიუჭარული კატის  
 რომ ერთმანეთი გვიუკარდა ვერდიეთ ორ ბირობასა.

ნ ი ნ ო .

საუკარლისათჳს გარწმუნებთ არ მოვარდიდებ სიუჭდილსა.

რეკას (ნინოს, შერმე ბოქტურს)

დაგლოტის ღმერთმა და ცამა შენი ვარ მე მადლობელი,  
 მადლობელი ვარ დოქტურთ, რომ მამარჩინეთ საწელი,  
 ოქ! ჭეშმარიტათ ძნელია კატის, ქალის სიუჭარული,  
 თუ, რომ ერთმანეთს მოშორდნენ მათ ურჩევენათ სიუჭდილი

(ნინოს)

აქ მადლი ჩემთან ნინუტავ ვაკოტოთ ჩუბნ ერთმანეთისა.

(ჭეკონიანს)

ნ ი ნ ო .

თითქმის ხელ ასლათ გავტოტს ღდი, რომ გოტნი მე

ჩემს რეკასსა,

ამდენი ტანჯვის შემდეგ რაღა იქნება ბოლოს?

რ ე კ ა ს .

მოკლეთ ჩუბნ უკელას აუხსნით, რომ გინრას დავი-

წერთ ვუჭარსა.

ნ ი ნ ო . (რეკასის კელი უჭირავს და მღერის)

სიუჭარულთ! გადმომხედე სიამოვნებით,

დაივიწყე მწუხარება, წარსულ დროების;

ჭეჭუნასხედ კატის იტებს გამოცდილებით,

ამის შემდეგ წუთ სოფელსა მოკვირდებით.

დავანებოთ წუთ სოფელსა, და ბორბოტ ხაღსსა,

არცარავინ შეაწუხებს ჩუბნს ცხოვრებასა,

პატოკსა ვნემ ბულის ნუგეშს და სიუჭარულსა;

იმის გარდა ჩემი გული, არ ხედავს სხუასა.

ურთათა ვიუწნეო სიკუდილამდინ ის გვირბეენია.

ჩემთვის მარტო საყურელი სანატრელია,

უშენთა გეტყუ სულა, რა! რა მხელია;

შენთან ჯდომა და სიკუდილი ჩემთვის ღმინია.

1863 წელსა 10 მაისსა.

თ. ვანო ბარათოვი.

დაეწიეს მკვლელობა, იფრეც იწმეო ღმრთივი მინა

~~დაეწიეს მკვლელობა, იფრეც იწმეო ღმრთივი მინა~~

დაეწიეს მკვლელობა, იფრეც იწმეო ღმრთივი მინა

დაეწიეს მკვლელობა, იფრეც იწმეო ღმრთივი მინა

დაეწიეს მკვლელობა, იფრეც იწმეო ღმრთივი მინა

კ უ ჯ ვ ნ ი

დაეწიეს მკვლელობა, იფრეც იწმეო ღმრთივი მინა

(საბატონო უმების სახლ-შობილ-შუკლებს.)

დაეწიეს მკვლელობა, იფრეც იწმეო ღმრთივი მინა

გაბუტულა გლეხის შუკა, შენ ზაწაწინაო!  
გერე ტბილად, უდარდელათ, რამ ღაგაძინაო?  
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტბილი ბინაო...  
დაიძინე ვარდლ-ნანა, იავ-ნანინანაო!..

დედა ეტყვის: «გენატვალაო შენი მშობელიო,  
ძუძუებში ჩაგიკვლია ზაწაწა ხელიო!  
შენს ვაჟგაცლობას მომასწრებს მე ღმრთის მშობელიო,  
მამი შენის ბედის არ ხარ, შენ სხუა ბედს ელიო:  
შენი გარსკვლავი სხუა არის! — ბედმა გიციანაო!  
იავ-ნანა, ვარდლ ნანა იავ-ნანინანაო. .

ღმერთს შენი ბედნიერება წინეთ უსახავსო,  
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იწამ ავსო,  
დედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამატყვე შავსო!  
სხუა რა გიჭირს: ხომ შეიტყვე ~~...~~  
რინთუხ შეჭკრთი? მართალა! რამ შეგაძინაო?  
იავ-ნანა, ვარდლ ნანა, იავ-ნანინანაო. .

გაიხილოთ, გმრთივი, თავის-უფალიო,  
~~...~~

შენს შტერს და მოშურეს დაუღკარ თვალიო,  
 ჭირისა და აუთვალისგან გისხნის უფალიო,  
 ხომ გაიმა, გენაცვალე, მან გაგატინაო?  
 იაკ-ნანა, ვარდო ნანა, იაკ-ნანანანაო.

დიდი კატის შუღს შოლასში გვერდს მოუყუდებო  
 აბა შენ იცი ბიჭოვან როგორ ეცდებო;  
 სწავლასში ნუ ჩამოიჩქებო,  
 გლეხს ნიჭი არა აქუსო, არ ათეიქრებო!  
 შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,  
 იაკ-ნანა, ვარდო ნანა, იაკ-ნანანანაო.

აბიან ჩუქნი გამწვალეო  
 ჩუქნი საქმესედ როცა მიკალთ ვეკუთვან: ახვალეო  
 და ჩუქნი როცა დაგესაქმებენ მაშინკი «მალეო!»  
 ამას შენ გელარ გატუვიან, შენ გენაცვალეო,  
 რომ გელარ დაგიბრეუკებენ, თუ რომ თავი სტანო!  
 იაკ-ნანა, ვარდო ნანა, იაკ-ნანანანაო.

ზაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,  
 დღეს ხომ კარგათ გაიგონე ჩემი ნანანაო?  
 და თუ კარგათ გაიგონე, ხომ მოგაკონანაო?  
 მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე! იგან ქუჭუნანაო!  
 შენც შეიტყევა ამა სოფლის ცრუ-გამოცანაო!  
 იაკ-ნანა, ვარდო ნანა, იაკ-ნანანანაო.

თ. აკ. წერეთელი.

## ხემს მეკობარს.

მოუწასო ხემო შორიდგან მესმის  
 თუ მართალია განსაკვრეულად,  
 გამოემიებ გითომც ღუთაების  
 საქმეთა ძალთა გულ-შერეულად.

ხემ შორის არის მეკობრობისა  
 კარსკვლავი წმიდა ცისკარი სულის,  
 შენ გასასობდა მწადი ძმობისა,  
 გითარცა მსესა, მეურნაღსა ზრულის.

შენ გტრფივალუბდა გული და გძმობა  
 ღუთისაგან რაც მანქენ ნათელ-ფრქვებულნი,  
 სული და გონება, ძალი და ცნობა  
 შენ გეპურა მარად დამონებულნი.

ესე ვითარნი, ესე ვითარსა  
 უოკელსა ეტყვს იმედუელად,  
 ამისთვის სულსა და მეკობარსა  
 განგიფენ არსსა შემოკლებულად:

მდინარის წყნთმან ვით ჰსცნას სივრცე ზღვს,  
 ანუ თინისა მდინე ჭურჭელმან  
 ვით შთაიტიოს სსმკაული ცის  
 თუბა შედგეს მისისა კერ შემდეგელმან.

გიტი და გუწვი, გკძმობ და გმეტეშლებ  
 თუ მართლად ღმერთოედ შენ იტუნეულებ  
 და საქმეთ მისთა მიუწითამელთა  
 მიწითამილებას გამოემიებ.

მდინე ნაწილი ნიჭი ნათლისა

რომელი მოგცა უსუნაესმან  
 შრეტ, ადნობ, აქრობ მრუმეშიდ მღუჭლი  
 ზღვსა ქვშათა უფსკრულშიდ მთელელი.

უკეთუ ცნობას არ დაამყარებ  
 ნათლისა სწესტსედ ქუხილის ძისა  
 და ჭკონებ უბრძნესს იმართლმეტუჭწლებ  
 და მკუჭტი სამღრთო არწივის ფრთისა,

მაშინ მშჯდობით ხედავო ცნობის,  
 რომლით ბრწენივიდენ ქენი ნათლისა,  
 რომელით სხუა გონეს უგუნურებით  
 და იქმნენ შჯლნი უმეტრებისა. —

კოლხიდელი.

ჩემს მინერვას.

სიბრძნისა ღმერთავ! მე შენი სახე  
 უჭწლგან თან მზდეკდა გულისა მასე;  
 მეოცნებოდა ვით აღვისა ხე;  
 ეღწად, მნათობად გულს დავისახე.

სატრფოო! ვარდი, ნამით დამტუბარი,  
 ვნახე შლილობდა, ამოდ მწკასარი,  
 კრთოლვიდა მქრქალსა ცასედ ცისკარი,  
 ვსთქვ: არც ეს არის მინერვას დარი.

ვრბოდი უდაბნოდ, — ტკვრთა ბურვილთა,  
 დეკნიდი აღით ჩემთა სურვილთა,  
 ვისმენდი გლოვას ბუღბუღთ ურვილთა

და წყაროთ გუნესას, გსებად წუურვილთა.

წარმოვიდგინდი შენს მსეობას:

მადღს მაგალითს, ტურფას სხეობას:

წმიდას სიუჟარულს, მის სიტყვებას,

ასაწერსობას, ტრფობით მხეობას.

შენი ტრფიალი მქმენ უძლეულად;

კეკლუტო დახატულთ შატვიის მტუტლად,

სიბრძნის მსახურად, სიმართლის მთქმელად

და წმიდის მცნების თაჲ შემწირველად.

გზობდი საკუდაკად ბრძოლისა კულად;

გულსა შენ მქონდი და კრძალი კულად;

შენი ციალი მსეებრ, დამწუტლად

წამს მომეულის ტრემელთ დასაღვრელად.

მე შენი სიბრძნე მიუჟარს და მრწმენა,

ინებუ ჩემსედ შუქის მოთუნა,

ახალ ახალთა ნათელთა ჩენა,

ღხინის და ჭირის გულ გრიდათ თმენა;

ტურფასა ვარდის საბაღნაროსა,

გულსა კვალმან ვითღა მხაროსა;

ან რათ ვემსგავსო რხეულს საროსა,

ან ტრემელი რად ვრთო მხქეურსა წყაროსა.

მარამ აქაცა, მიღამოს ანეს,

ან გინი, რისთჲს ვდურდი ტრემელს მწარეს;

თუთ ტოლებშიაც ღხინად მჯდომარეს

მხიდავდა მწუტლი თუქნი თჲს მხარეს.

ღმერთაჲ! . სად არად შენ მაქმენდი მარად;

დიდად სადა არად მნათობთა დარად.

ელჟარებ ბარად, შთის გასაკმარად; *საქმიან ფქმთან*  
 სურნულ სუბბულად, სატრფოდ საქმარად *საქმიან ფქმთან*  
 ბროლი ფიქალობ, (\*) კეკლეტად ქალობ, *ესა სუ*  
 ბუღბუღებრ გალობ, წინწილათ ძალობ, *სის უბოგობ*  
 ძვრფასად თვალობ, კრთოლაჲ, ციალობ,  
 სხივით მამთურალობ, მწუჭლობ ვით ალობ. .

შენს ჟაკეს ნუ ამხსნი; გრძნობით ნუ დამხსნი;  
 თუ კუღავ ვტერს დამხსნი; მახჯლს ნუ შამხსნი;  
 მჭკვრთაქმანი წამხსნი; სიბრძნით ამხსნი;  
 ჭასრნი გამიხსნი, ვით ბნელსა მამხსნი.

თ. დავით ძაჩაბელი.



(ბოლო მოუღებელის კომედიითგან.)

ერთიან კაცი ბუნებისათჳს,  
 მდიდარი, გლახა, დიდი, ზატარა;  
 რა დღით ის წუთის ცხოვრებისათჳს,  
 ქვეუნად მოვიდა და დაემყარა.

(\*) ქართულის ძეგლის ლექსების შეტაქმარა იერა-  
 გლიძისა ჭტაცს გამოსაცნობლად; ბროლისფიქალი ჩუქნთ  
 მელექსეთ უმარათ ისეთ ნათელს თეთრს შუბლის ფი-  
 ცრად, რომელშიაც კონება გამოსჭვრს, როგორც ბროლში.

მათხედ განაგებს ერთ გვარ ბუნებას,  
 ერთ გვარად უსკამს იგი მათ ცელსა;  
 და ისე სული დიდ კაცსაც ჭბდება,  
 როგორც მის მსახურს უგანასკნელსა!.

მოღაბუე. (\*)

წრილის 28

ჭაჭუთის ქვეუანაში, სოფელს ჯანდამს.



(მეკითხვით მარჯვენა მხარეს)

მკვლევარებმა იგი  
 იმდენი იხილეს იმდენი  
 მკვლევარებმა მათგან და იხილეს  
 იმდენი იხილეს იმდენი

(\*) დიდის კმაყოფილებით ჭბუჭდავდა რედაქციის მოს  
 ლაუბის სოლო მოუღებულს გომედიანს, სიქსტი მეხუთის  
 მეორე მოქმედებას, რომელიცა მივიღეთ, მაგრამ ვუღარ  
 ინკედება, ამ დაუბუჭდაობის მიზეზი რედაქციის არ არის...

ლომი, ფინია და ვირი.

ოდესმე ლომის გარსება, საწყალი ფინა ერთგული,  
 იყო სიძნარით შიშული და დიდთ დაფიქრებული,  
 ერთგულობას იწურთნიდა, ჭსტურავდა ამა ფიქრშია —  
 ითმენდა უბედობას და იყო ამგვარ ჭირშია!

ლომი გარსე გამოვიდა რა შეჭხედა ფინიასა,  
 უთხრა: ჩემო ფინიაო, შენი ფიქრი რასა ჭკავს?  
 ოდესაც ჩემთან მოსულხარ, რათ მოიწეენ ნეტა თავსა,  
 გარგათ იცი, შწუხარება თავს მოტახვეკს ბედსა შავსა,  
 — მართალია კელმწიფეო; მარამ ბრალი არის შენი,  
 ჩემისა უბედობისა ნება იყო ვჭკობნებ შენი;  
 შენ მიბრძანე დაკომოწილდი, უგრძობელსა ამა ვირსა,  
 რომლისგან ბედი ჩემი თუთ შენ ჭხედავ ვითა სტირსა!

გარგათ იცი კელმწიფეო, მე თავი მაქვს განწირული,  
 შენისა ერთგულებითვს სიკუდილადმდე შეწირული,  
 მარამ აწ ღონე შელია, ველარ უძლებ ამდენს ჭირსა,  
 რომ გუბლად დაკომოწილო, უგრძობელსა ამა ვირსა!  
 იცი მე შის ჩუწული ვარ, ვემოწილო ბრძანებასა,  
 ვისთანაცვი მიმანემო, ვემონო მისსა ნებასა;

მარამ, რათგანაც ვერა ჭგრძობს ეს ჩემსა ერთგულე-  
 ბასა,  
 გენუკვი თავისუფალ შუო და მიმცე მცირედს შეებასა!

კელმწიფეო მამისმინე, ცოტა იყო პირუტყვები?  
 რაღა ამას მიმანემე, ამას ვსტირი, ამას ვჭკუდები,

იტი ჩემი ერთგულება მაქმნდა შენთან შეხუჭული  
 ყოველს კეთილს. განცხრომისა მარად ვიყავ დანკეუ-  
 ლი!

— განა არ ვიცი ფინიაჲ, განა არ გიცნობ ერთგუ-  
 ლსა,  
 განა არ მასხროგსა ყოველი, განა არ გიცნობ შენს სულსა,  
 ეს ქვეყანა ისეთია, ვეველა უნდა გამოსცადო,  
 ვეველა უნდა შოთმინო, ბედისაწერას დაუცადო . . .

ვირი დგას თავდაღრმძილი და ყურებს ჩამოშვებული,  
 ფინიასა სანივანსა, უყურებს გაცნობული.  
 რა შეგცოდე ფინიაო, აბა მითხარ რას მიჩივი  
 რათ აწუხებ შინგუტუვთ მეფეს უსაფუძვლეთ რას შას-  
 ჩივი?

გარკათ იტი არას შეითხვენ, მახვევიან გინცა კარსა,  
 დათვი, ტურა, მანკი, შელა, რომელნიცა დგანან კარსა,  
 მე რომ ვიტყვ ეს ასეა, პასუხს მცემენ უცნარსა,  
 ვჭკონებ ჩემებრ შეწუხებას, არ ჭმენოდეს ჩემსა გვარსა!

აქ ღამი მიუბრუნდებს, ასე ეტყვს დიდურსას,  
 თუ არა შეგძლებიარა, რას აკეთებ, აბა რასა?  
 შენ მოგეცი უფროსობა რათ უგონებ მითხარ, სხუნსა,  
 თავსა ვითა გაიმართლებ, როგორ იღებ ჩემ წინ ხმასა?

ბატონო! დათვი ჩემზე ძლიერია, ერთის დაკვრით  
 წელს მამწვევტავს,  
 შელა მომელაქუცება, რაც რომ უნდა გამიბედავს,  
 ტურა მეტათ თავსეღია, სრულებით არას მიგონებს,  
 მანკი ვიცი არ დამინდობს, ტუეილს რასმე მამიგონებს!  
 რა ვქნა ჩემო კეძოთუო! აქ რა არის ჩემი ბრალი.

გთხოვ რიგიანათ განსჯო, ისე მამცე სმართალი,  
 იმედი მაქქს ამ საქმეში, გამოვიდე მე მართალი  
 და თუ ვსტუევი შენს წინაშე გენებოს ასლავ მამკალი!

აი ბატონო უეურე! აბა რა ჭსტქუა, მოიხმინე?  
 მიკვრს რომე ეგე ვკელა დიდსულობით მოითმინე;  
 ერთგული, მატოისანი ვკელთჳს ჩემებრ იტანკუბა  
 და რაც უნდა მართალია, არვისა აქქს შებრალება!

— თინიაჲ შენ რომ იცოდე უურდიდას ბაიათები,  
 ამისი ცეკვა, თამაში, ამისი ისტილათები,  
 მაშინ იტუოდი ღირსია, ედგას ზურგზე უნაკირი,  
 ბედაურს ემსგავსებოდა, ვინ იტუოდა არის ვირი? . . . .

ღიმ. ბერიევი.

1863 წელსა.

ქ. ტფილისი.



ქართულთა სწეობა.

გ ა ლ ო ბ ა (\*).

სასოგადოდ გალობა. — როდის განხდა გალობა, — ძქულად რომელი ერი განსხუჱდან გალობათა — უმეტეს როდის მიიღო გალობაში თვისი ხასიათი, — ორი უმთავრესი გალობა — საიღვან შესდგა ქართული გალობა. — ხმანი ქართულითა სკეროთა — სიმღერათა. — ძალნი ქართულის გალობისა — როსგორ იგალობება ქართული გალობა. — როდის არის მოგონილი —

სასოგადოდ გალობა არის სსსიამოვნო ხმა კაცისა, გამომსატველი ღმრთის დიდებისა, მიმოხრდილი სხუჱსა და სხუჱს განონიერს კილოდ და შეუქობილი რაოდენთამე მსგავს

(\*) რადგან გალობა არს წმიდა საგანი; ამისთვის ზირველად ეს სწეობა დაკრთხსეთ უკეთუ ზირულნი მათ ეგობა ესე ჩუჱნი მოეწონებათ წარმკითხველთა, მამინ ჩუჱნი გაუგზავნით უფალს რედაკტორის სხუჱთად, ჩუჱნთათხუჱლებათა ქართულთა სწეობასუდ, და იმედი გუჱქუნ რომ მსწავლულნი წარმკითხველნი მოიცლიან გასინჯონ

თაკე ხმათა თანა, რომელთაგან წარმოსდგების ღაჭმისა  
ნია, განმანათლებელი გულისა და გონებისა და კაცისა  
ჭაწრით ღვთისადმი აღმამაღლებელი.

ქრისტეანასედა განხდა გაღობა მამინ, ოდეს ბუნებამან  
აღსძრა კაცი, რათა ჟამისა მომეტებულის სინარულისა,  
ანუ მწუხარებისა, სასინარულოს, ანუ სამწუხაროს ხვით  
ტურფად გამოესატნა დიდება ღვთისა, დამბადებელისა და  
მზრდელისა მისისა; და ოდეს აღმოსჩნდნენ ქრისტეა-  
ნასედა კაცთა საზოგადოობანი, მამინ, აღმოსობაცა ესე  
კაცისა ცაღ მიმართ, სხუთა კაცის სისრულესთან კაცის  
მოგონებითა და შეცადინეობითა მოვიდა ხარისხულად  
სისრულეში და წარმოსდგა ღაჭმისა განმანათლებელი  
ბედი და დამატებელი გულისა და გონებისა.

ყოველთა უმჭრელესთა ერთა შორის საღმრთოს გაა-  
ღობითა განსხუთგანენ კბრეუნი, ერთი რჩეული ღვთისა. —  
ათასის წლის წინადვე ქრისტეადმდე, წმიდანი, გასაოცა-  
რნი საგალობელნი ღვთივ გაბრძნობილისა, დიდისა ებ-  
რეულთა წინასწარმეტყველისა და მეფისა დაჰითისაგან  
შეთხზულნი და შეწუობილნი ას სამოცს ოსაღმუნებად  
დღესასწაულობით იგალობებოდნენ ყოველსავე კბრეულთა  
სამეფოში; უმეტეს დიდ მშუტნიერსა ტამარსა ღვთისა  
საბათისა, ადგებულსა მამინვე შემდგომ მტრედისა  
დროისა დაჰითის ძის კბრეულთავე მეფის სოლომონის

თხზულება ჩუტნი და კრიტიკულად გააჩიონ. რაც უფ-  
რო მეტად კრიტიკული შენიშვნა იქნება, ის უმეტეს  
სასიამოვნო და გასამხნეველებელი იქნება ჩემთვის. თ. ღ. მ.

ემიერ, ბრძნად წოდებულისა, ებრაელთა მრავალ რიცხვითა მგალობელთაგან გრგვენიდნენ ცად მიმართ ფსალმუნნი შეწყობითა წინწილთა, ებანთა და სხუათა სახილბათა ზედა. — აქედით მას ხმითა ნესტვისათა, აქედით «მას ფსალმუნებითა და ებნითა, აქედით მას ბობლნითა და შუობრითა, აქედით მას ძნობითა და ორღანოღითა, აქედით მას წინწილითა გეთიღ ხმითა, აქედით მას წინწილითა ღაღადებისათა (\*) (ფსალმ. რწ. მუხლი 6. დ. 1) გალობამან უმეტეს ნამდვილი თჳსი ხასიათი მიიღო შემდგომ ქრისტესა; თითქმის ყოველთა წარმამადგენელთა წმიდის ცხოვრებისა მაცხოვრისა ჩუქნისა იესო ქრისტესი და მოწაფეთა მისთა, რომელნიცა ხშირად წარსა

(\*) ასე ცხადი და გასაკონარი ჩუქნთჳსაც ენა არს მუარულს საუკუნეში მყოფთა შთარემნელთა. ამ გუარის ენის სიტხადეს და თორმეტსა საუკუნოღსა განმავლობაში და უმეტესებლობას ისტორიულს განმჭურეტელობაში, მრავალ რიგი მნიშვნელობა აქუს საქართულთა ისტორიის მწერალთათჳს ქართულთ თავისუფლებამ დაიჭრა ეს ენა, ენის თჳსებამ, თუ განუვითარებლობამ? უკანასკნელი მიზეზი არაფრით არ დამტკიცდება, რადგან ქართული ლიტერატურა ისე მკათე საუკუნეში იდგა მაღალს ხარისხზედ განვითარებისა. — ამ სამუსიკო ხმათა აქუსთ რუსულთ შემდგომნი მნიშვნელობანი: ნესტუ Труда; ებანი Гусли; ბობლანი Тимпанъ; ორღანი Органъ; წინწილი Бимволь; ეს სკრავნი ერთად შეწყობილნი არს ძნობა Струны; როგორც ძალნი ერთად შეწყობილნი.

თქმიდნენ გაღობასა და განსტნობადნენ ზეციერისა  
სისრულთა, იწვეს მაღალად განვითარებულის გაღობა  
შეკობა წმიდათა ქრისტეს ეკლესიათა.

ყოველს საქართველში ორი უმთავრესი გაღობა  
არის სათავე სწავთა ყოველთა გაღობათა: ბერძნული და  
იტალიანური. პირველი არის მხოლოდ ერთი ხმა,  
მთქმელი, მრავალს ერთს ხმად შეწყობილს ხანში, გა-  
მომხატველი საღმრთოთა საგაღობელთა, მოუყანილი  
სავაძის სისრულეში, გაღობა ესე ემსგავსების დაბაღს  
ქუხილსა, რომელშიაც ელექტორ გამოკრთის მშენებელად  
მიმოგონილი განიხიერს კილოზედ ხმა ერთისა მთქმელისა,  
ანათლებს გულსა და გონებასა (ბერძნულს გაღობას  
ესე ემსგავსების რომისური გაღობა) (\*) ხოლო მეორე,  
ესე იგი იტალიანური, არს შეწყობილი მრავალთა ხმას  
თავან ერთს ღარმონიად, შექონი ფრიად სასიამოვნოდას  
მოქმედებისა კაცობრივთა ზედა. იგი ჰმოვეს ევროპია-  
ულთა უნამდვლესს ღარმონიად და მიიღეს ყოველთა სა-  
შეიფოსათა, როგორც საეკლესიოს საგაღობელად, ისე  
საეროსა და სამხედროსა სახიობად; (მუზიკად); მოიუყა-  
ნეს უმაღლეს ხარისხადმდე სისრულეში ესოდენ, რომ  
მელ ღონღონის საქათალიგოხოს, ანუ მათსა სამეფოს

(\*) რომისათა (ჭაოხიანთა), საქართველში მცხოვრებ-  
თა, დიდთა ასახელოვნეს თავითი თავის საკუთარის სე-  
